ასკ (როსტოვი) – ”დინამო” თბილისი 1:2 (0:2)

თამაში ნელ ტემპში დაიწყო. როსტოველები ფრთხილობდნენ, თბილისელებმა კი ალბათ უადგილოდ ჩათვალეს ენერგიის ზედმეტი ხარჯვა და ამაში მათ ვერც გაამტყუნებ” 5 მატჩის 2-2 დღიანი ინტერვალით ჩატარება ძალების მაქსიმალური დაძაბვით, ცოტა არ იყოს, სარისკოა გუნდები ხომ ეს-ეს არის დაადგნენ საფეხბურთო სეზონის რთულ გზას.

ასე თუ ისე, ”დინამომ” სულ რაღაც 15 წუთში მაინც შეძლო გამარჯვებისთვის აუცილებელი მარაგის შექმნა და ბუნებრივია, აღარც მერე დაუტანებია ზედმეტი ძალა თავისთვის. ამან დააზარალა მატჩის სანახაობრივი მხარე, მაგრამ ყველაფერს თუ რაციონალური კუთხით გავხედავთ, შეგვიძლია აუღელვებლად ვთქვათ. რომ ყველაფერი რიგზეა.

მე-6 წუთზე მარჯვენა ფლანგიდან როსტოველთა საჯარიმოში შეჭრილი გუცაევი აკრძალული ილეთით შეაჩერეს. მსაჯი უყოყმანოდ ნიშნავს პენალტს. გუცაევის დარტყმა ზუსტი იყო. მე-15 წუთზე გუცაევის გადაცემის შემდეგ გ. მაჩაიძე ჯერ მცველებს ატყუებს, შემდეგ კი ძლიერი დარტყმით ორამდე ზრდის ანგარიშს.

მეორე ტაიმში სტუმრებმა უმატეს სისწრაფეს, ”დინამომ” ისევ ნელი, მშვიდი ტემპი არჩია. თამაში გათანაბრდა. 55-ე წუთზე ისევ ინიშნება პენალტი, ამჯერად მასპინძელთა კარში. ზუსტად ურტყამს ბონდარენკო - 2:1. ეს ანგარიში მატჩის დასასრულამდე შერჩა ტაბლოს.

გუნდები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: “დინამო”: გაბელია (მამინაშვილი), კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, სულაქველიძე, შენგელია.

ასკ: რადაევი, გონჩაროვი, ანდრიუშჩენკო, იაშინი, ბონდარენკო, გუსევი (იურჩენკო), ჩურკინი (სელინი), ანდრეევი, ბერეზინი, ბერდიევი (კოვალი), ბობკოვი.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი). გაფრთხილებულია ქორიძე.

ბ. ირემაძე

ლელო 8.III.79